

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ბელა ჭურჭელაური

მუქარის გამოხატვის პრაგმატიკული და სოციოლინგვისტური
თავისებურებები ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის
პროცესში

(ინგლისური და ქართული ენების მასალებზე დაყრდნობით)

სპეციალობა - ლინგვისტიკა

ა ნ ო ტ ა ც ი ა

(წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ი. გომხეთელიანი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ევროპეისტიკის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინე გოშხეთელიანი ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

შემფასებლები: თეა შავლაძე ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი;

მაკა ჩხეიძე ფილოლოგიის დოქტორი,
საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

ნანა ცეცხლაძე ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

უცხოელი შემფასებელი: ცვეტელინა ჰარაჯჩიისკა ანგელ კანჩევის რუსეს
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ბულგარეთი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2020 წლის 14 ივლისს, სამშაბათს,
13:00 საათზე, 37-ე აუდიტორიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო
საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო
სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე
(www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნ. ფარტენაძე

შესავალი

დღევანდელ რეალობაში ყოველი მხრიდან ისმის აგრესიის უკიდურესი ფორმის - მუქარის შემცველი განცხადებები და ალბათ, რთულია იპოვო ადამიანი, რომელიც თუნდაც ერთხელ არ გამხდარა მუქარის ადრესატი. მუქარის, როგორც კომუნიკაციის ფორმისა და სამეტყველო აქტის ერთ-ერთი გამოვლინების კვლევის აუცილებლობა განაპირობა ინტერესმა, რომელიც მისდამი სხვადასხვა სფეროში გაჩნდა. მაგალითად: სოციოლოგია (Tedeschi, 1994), ძალაუფლების / მმართველობის მოპოვების თეორია, (Kellermann, 1996), სამეტყველო აქტების თეორია (Salgueiro, 2010), მოლაპარაკების წარმოების ხელოვნება (Shapiro et al., 2004), სამსახურებრივი ძალადობა (Jenkins et al., 1994), პოლიტიკური ლინგვისტიკა (Sechser, 2010). თუმცა, მოცემული ნაშრომის თემას არ წარმოადგენს მხოლოდ მუქარის ცნების ანალიზი. აქ წარმოდგენილია იმ ძირითადი საკითხების განხილვა, რომლებსაც მრავალი შეხების წერტილი გააჩნია მუქარის ფენომენის გამოხატვასთან; ეს არის კომუნიკაცია, სამეტყველო აქტები, მუქარის სოციოლინგვისტური მახასიათებლები, მუქარის გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმები, პოზიციის ენობრივი მარკერები, თავაზიანობის თეორია, სოციალური სახის ცნება, თავაზიანობის სტრატეგიები და სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტები.

აღსანიშნავია, რომ ენის სემანტიკური ბუნება მჭიდრო კავშირშია გარეენობრივ სამყაროსთან და რეალობის ასახვის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს, ამდენად, ენობრივი სიტუაციების სწორმა ანალიზმა შეიძლება რეალური სიტუაციების სწორ ახსნამდე მიგვიყვანოს. მუქარის სწორი ენობრივი ანალიზის შემთხვევაში კი შესაძლებელია მუქარით განპირობებული საფრთხის თავიდან აცილება. სწორედ ამიტომ, მეცნიერები, პრაქტიკოსები და რიგითი ადამიანები ერთხმად აღიარებენ მუქარის სწორი ანალიზის უდიდეს მნიშვნელობას.

ამ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით აღვწეროთ მუქარის ლინგვისტური ბუნება, განვსაზღვროთ და გამოვყოთ მუქარის დისკურსისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულები და ვაჩვენოთ მუქარის შეფასების გზები აღნიშნული

დისკურსისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების ანალიზის მეშვეობით.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მუქარის ფენომენისადმი ინტერესის გამოხატვა დღითიდღე მნიშვნელოვნად იზრდება. ასეთ ფონზე, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენათმეცნიერებაში საკმაოდ მწირი თეორიული მასალა მოიპოვება მუქარის დისკურსისა და პოზიციის სემანტიკური ფუნქციის კვლევის შესახებ.

მუქარა წარმოადგენს ისეთ სამეტყველო აქტს, რომლის რეალიზება ადამიანების კომუნიკაციის პროცესში ხდება; სწორედ ამიტომ მუქარის ენის საკითხი პირდაპირ კავშირშია კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების საკითხებთან. როგორც კომუნიკაცია, ისე სამეტყველო აქტები ხასიათდება ფართო მასშტაბიანი გამოყენების არეალით. პრაქტიკაში მათ იყენებს ნებისმიერ სფეროში მოღვაწე პიროვნება, თუმცა მათი მეცნიერულ-თეორიული საფუძვლები ყველასთვის ცნობილი არ არის.

გამომდინარე იქიდან, რომ ენა არ არის განყენებული ფენომენი და ის სოციუმში ცოცხლობს და ფუნქციონირებს, მნიშვნელოვანია მისი სოციოლინგვისტური კუთხით კვლევა. კომუნიკაცია და მეტყველება ადამიანური ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს, მათ შესახებ წარმოდგენილი თეორიული ინფორმაციის ანალიზი საშუალებას მოგვცემს პასუხი გავცეთ კითხვებს, რომლებიც გაჩნდება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში რაც მოიცავს კომუნიკაციასა და მეტყველებას. სწორედ ამიტომ, მუქარის საკითხის კვლევაში ასევე დიდი როლი უჭირავს სოციოლინგვისტურ ფაქტორსაც, რადგან მუქარა წარმოადგენს როგორც ლინგვისტურ, ისე სოციალურ ფენომენს.

მუქარის ბუნების სრულფასოვანი შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ამ გზით შესაძლებელი გახდება მუქარის რეალურობის განსაზღვრა და მისი განხორციელების შემთხვევაში სავარაუდო შედეგების პროგნოზირება. ამისათვის აუცილებელია შევისწავლოთ, თუ რა ხერხებით ხდება მუქარის გამოხატვა, ექსპლიციტურია იგი თუ იმპლიციტური და

პოზიციის რომელი მარკერები განაპირობებენ მის რეალურობას.

გამომდინარე იქიდან, რომ მუქარა წარმოადგენს ძალადობრივ სამეტყველო აქტს, რომელიც საფრთხეს უქმნის სოციუმის წევრს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ მასთან პირდაპირ კავშირში მყოფი ისეთი ლინგვისტური საკითხები, როგორც არის თავაზიანობა და სახის ცნება. სწორედ ამ საკითხებშია დეტალურად აღწერილი სოციალური სახისადმი საფრთხის შემცველი აქტები და აგრეთვე თავაზიანობის სტრატეგიები, რომლებიც ამ საფრთხის არიდებას ემსახურება და სახის შენარჩუნებაზეა გამიზნული.

ნაშრომის მიზანია კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, მუქარის ცნების დაზუსტება და სოციოლინგვისტურ ასპექტში განხილვა, მუქარის გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმების აღწერა, პოზიციის ენობრივი მარკერების განსაზღვრა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში, თავაზიანობის თეორიისა და სოციალური სახის ცნების განმარტება, თავაზიანობის სტრატეგიებისა და სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტების ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე განისაზღვრება **ნაშრომის ამოცანები**:

- კომუნიკაციის ფენომენის განსაზღვრა, სახეობების კლასიფიკაცია ფუნქცია-დანომულებისა და როლებრივ-ტექნიკური თვალსაზრისის მიხედვით და ამ კლასიფიკაციის საფუძველზე არსებული მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა;

- სამეტყველო აქტების თეორიაზე არსებული სხვადასხვა ავტორების შეხედულებების ანალიზი;

- მუქარისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებების განსაზღვრა და შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე მსგავსება-განსხვავებების დადგენა ინგლისურ და ქართულ ენებში;

- სოციოლინგვისტური ცნებების განმარტება და მათი როლის განსაზღვრა მუქარის ფენომენის კვლევაში;

- მუქარის გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმების ანალიზი;

- პოზიციის ცნების განმარტება და პოზიციის მარკერების მსგავსება - განსხვავების წარმოჩენა ქართულ და ინგლისურ ენებში;

- თავაზიანობის თეორიისა და სოციალური სახის ცნების შესახებ არსებული სხვადასხვა ავტორის შეხედულებების კრიტიკული ანალიზი ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით;

- თავაზიანობის სტრატეგიებისა და სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტების სისტემური ფორმით წარმოდგენა და ამ სისტემების მიხედვით მუქარის ფენომენის დახასიათება.

თემის სამეცნიერო სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ლინგვისტიკაში ნაკლებად არის შესწავლილი მუქარის ფენომენის პრობლემატიკა ინტერპერსონალური კომუნიკაციის, სამეტყველო აქტების თეორიის და პრაგმატიკის კუთხით, რადგან მკვლევართა ნაწილი (მაგ.: Salgueiro, 2010; Muschalik, 2018) მუქარის მხოლოდ გარკვეულ ასპექტებს განიხილავდა. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ ნაშრომში, განხილულია და კრიტიკულად არის გაანალიზებული ამ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, გამოკვლეულია თუ რა როლი აკისრია მუქარას ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში, როგორ არის იგი წარმოდგენილი სამეტყველო აქტების თეორიაში, რა პრაგმატიკული თავისებურებები ახასიათებს მუქარის გამოხატვასა და რა როლს ასრულებს ეს თავისებურებები მისი რეალურობის შეფასებაში.

თემის **საკვლევ ობიექტს** წარმოადგენს მუქარის შემცველი ინგლისური და ქართული მაგალითები; კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია, ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მეტყველებაში გამოყენებული მუქარის შემცველი განცხადებების ლინგვისტური ანალიზი. სულ გაანალიზებული მაგალითების ჯამური რაოდენობა შეადგენს 160 მაგალითს, რომელთაგან 80 ქართულია და 80 ინგლისური.

ნაშრომის **თეორიულ ბაზას** წარმოადგენს მუქარის თემაზე დღემდე შექმნილი ქართველი და უცხოელი ლინგვისტების ნაშრომების, დისერტაციების, მონოგრაფიებისა თუ სამეცნიერო სტატიების კრიტიკული მიმოხილვა, რომლის საფუძველზეც წარმოდგენილია მუქარის ენის პრაგმატიკულ და სოციოლინგვისტურ ასპექტებში კვლევა.

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის შემდეგი ლინგვისტური მოძღვრებანი: ენათმეცნიერება (გამყრელიძე და სხვ., 2008; ნებიერიძე, 1991; სოსიური, 2002; ჩიქობავა, 1983; Biber, 2006; Biber et al., 1999; Conrad et al., 2000; Duranti, 1997; Lyons, 1977;), სამეტყველო აქტები და თავაზიანობის თეორია (თევზაძე, 2012; ლევიძე, 2011; მერაბიშვილი, 2011; Austin, 1962; Brown et al., 1987; Goffman, 1967; Grice, 1991; Searle, 1975; 1969; Yule, 1996; Walton, 2014; Watts et al., 2005;), კომუნიკაციური ლინგვისტიკა (ლებანიძე, 1998; 2004;), სოციოლინგვისტიკა (ლადარია, 2002; Habermas, 1984; Wardhaugh, 2006;), ფსიქოლინგვისტიკა (მინდაძე, 2009;), კომუნიკაცია (ლიპარიშვილი, 2009; სურგულაძე და სხვ., 2003; მახარაძე და სხვ., 2010; ლუმანი, 2007; მახარობლიძე, 2016;), მუქარის ენა (Appiah et al., 2015; Bourdieu, 1991; Davis, 1997; Fraser, 1998; Gales et al., 2010; Gales, 2015; Geiwitz, 1967; Glukhov et al., 2015; Jenkins, 1998; Kellermann, 1996; Kent, 1967; Lakoff et al., 1987; Meloy et al., 2012; Milburn et al., 1981; Muschalik, 2018; Napier et al., 2003; Salgueiro, 2010; Scanlon, 2008; Sechser, 2010; Shapiro et al., 2004; Shuy, 1993; Storey, 1995; Tedeschi et al., 1994; Yeboaba, 2012;)

კვლევის მეთოდოლოგია. დასახული ამოცანების გადაჭრის მიზნით, გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: მუქარის სოციოლინგვისტური, პრაგმატიკული, აღწერილობითი, ფუნქციურ-სემანტიკური და შედარება-შეპირისპირებითი ანალიზი.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს ჩვენი კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებში. ჩატარებული კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იყოს დისკურსის ანალიზში, სოციოლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ კვლევებში, ფსიქოლოგიის და ნეიროფსიქოლოგიის ლექციების კურსში. იგი ასევე

დახმარებას გაუწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს საკვალიფიკაციო ნაშრომებზე მუშაობისას.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლისა და სამი თავისაგან. თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად და ქვეპარაგრაფებად. ნაშრომს ასევე თან ახლავს დასკვნა, ბიბლიოგრაფია, ინტერნეტწყაროების ჩამონათვალი და კვლევაში გაანალიზებული მაგალითების ჩამონათვალი დანართის სახით.

I თავში განხილულია მუქარა, როგორც კომუნიკაციის ფორმა და მისი სოციოლინგვისტური მახასიათებლები; განხილულია მუქარა სამეტყველო აქტების თეორიის კუთხით და წარმოდგენილია მუქარის კლასიფიკაცია როგორც საფრთხის მაჩვენებლის დონის, ისე შინაარსობრივი დატვირთვის მიხედვით.

II თავში განხილულია მუქარის ვერბალური ფორმები და მათი გამოხატვის პრაგმატიკული თავისებურებები, რაც მოიცავს თავაზიანობის თეორიასა და სოციალური სახის ცნების მიმოხილვასა და ასევე იმ ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების კლასიფიკაციას, რაც ახასიათებს ვერბალურ მუქარას.

III თავში წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების ენაში დაფიქსირებული მუქარის შემცველი განცხადებების შეპირისპირებითი დახასიათება სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული კლასიფიკაციების საფუძველზე.

ზოგად დასკვნებში მოცემულია კვლევის ძირითადი შედეგები.

I თავი. მუქარა, როგორც კომუნიკაციის ფორმა და მისი სოციოლინგვისტური მახასიათებლები


კომუნიკაცია ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების ფუნდამენტური საფუძველია. კომუნიკაციის ცნების ახსნა-გაგება თითოეულ სფეროში ინდივიდუალური კუთხით ხდება. თ. გამყრელიძის თანახმად, „კომუნიკაცია (ლათ. *commūnicatio* – „ურთიერთობა“; „გაცვლა – გამოცვლა“; „შეტყობინება“) არსებითად სოციალური მოვლენაა და ადამიანთა საზოგადოებაში უპირატესად

შეტყობინებათა (ინგლ. *message*) გაცვლა – გამოცვლას გულისხმობს“ (გამყრელიძე და სხვ., 2008 :46).

გერმანელი სოციოლოგი, ნიკლას ლუმანი საუბრობს იმაზე, თუ რაოდენ დიდი როლი უჭირავს კომუნიკაციის სახეთა ცვლილებებს საზოგადოებრივი ევოლუციის პროცესში. (ლუმანი, 2007 :8) მისი აზრით, ეს გასაკვირი არც არის, რადგან, - „ბოლოს და ბოლოს, საზოგადოების სოციალური სისტემა კომუნიკაციის პროცესებისაგან შედგება. ... კომუნიკაცია საზოგადოებას ერთ მთლიანობად კრავს“ (იქვე).

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ საზოგადოებრივი კომუნიკაციის პროცესი, მრავალი საფეხურისგან შედგება და გარკვეულწილად მათი იერარქიულად დალაგებაც არის შესაძლებელი (სურგულაძე და სხვ., 2003 :5). აღნიშნული დონეები რევაზ სურგულაძესა და ელდარ იბერს, შემდეგი სახით აქვთ სქემატურად წარმოდგენილი წიგნში, - „მასობრივი კომუნიკაცია“ (იხ. სქემა №1).

სქემა №1 კომუნიკაციური დონეები მასშტაბის შემცირების მიხედვით



წყარო: (სურგულაძე, იბერი, 2003 :5)

აღნიშნული სქემიდან, ვფიქრობ, ჩვენთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და ყურადსაღებ პუნქტს ინტერპერსონალური კომუნიკაცია წარმოადგენს, რადგან თითოეული ადამიანი კომუნიკაციის ამ ეტაპს ყოველდღიურ ცხოვრებაში თითქმის გამუდმებით იყენებს და ამ დროს ყველაზე დიდია მუქარის აქტის განხორციელების შესაძლებლობა.

სხვადასხვა ავტორთან კომუნიკაციის პროცესი სხვადასხვა კომუნიკაციური მოდელის სახით გვხვდება (მინდაძე, 2009; ლიპარიშვილი, 2009;). მიუხედავად განსხვავებულობისა, კომუნიკაციის ნებისმიერ მოდელში უცვლელად არის

წარმოდგენილი კომუნიკაციის ძირითადი ელემენტები: გამგზავნი, ინფორმაცია და მიმღები.

კომუნიკაცია შეიძლება იყოს **ვერბალური** და **არავერბალური**, იგივე შესტური ანუ კინეტიკური მეტყველება და სხეულის ენა. როგორც ქართველი ენათმეცნიერი გივი ნებიერიძე აღნიშნავს, - „საკომუნიკაციო ფუნქცია აქვს არა მარტო ბგერით ენას, ამავე ფუნქციას ასრულებს დამწერლობაც (გრაფიკული ენა), შესტიკულაცია და სხვა“ (ნებიერიძე, 1991 :9).

პიროვნების სოციალიზაციის პროცესში როგორც ვერბალურ, ისე არავერბალურ კომუნიკაციას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს და ურთიერთშემავსებელი ფუნქციის მქონე ელემენტებს წარმოადგენენ.

ჩვენი საკვლევი საკითხი, მუქარის ფენომენი, რეალიზდება კომუნიკაციის ამ ორ, - წერილობით და ზეპირ ფორმაში. სწორედ ამიტომ, მათ შესახებ ასეთი დეტალების ცოდნა დაგვეხმარება უფრო სრულყოფილად და ამომწურავად ავხსნათ მუქარის, როგორც კომუნიკაციის ფორმისა და მეტყველების აქტის როლი სოციალიზაციის პროცესში.

სამეტყველო აქტი წარმოადგენს გარკვეული სახის სოციალური ხასიათის ინტერაქციას, რომელიც სიტყვების მეშვეობით გამოხატავს კონკრეტულ სამეტყველო განზრახვას, როგორცაა მაგალითად: თხოვნა, შეთავაზება, უარყოფა, კომპლიმენტი, დაპირება და სხვა (Yule, 1996 :47).

გამონათქვამთან დაკავშირებული სხვადასხვა გარემოების გათვალისწინების მიხედვით მეტყველი სუბიექტის მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას ანუ იყოს წარმატებული ან იყოს წარუმატებელი.

ჯ. ლ. ოსტინის განმარტებით (Austin, 1962 :14) სამეტყველო აქტის წარმატებულობისათვის საჭიროა:

- სამეტყველო აქტის მონაწილეთათვის მისაღები და გასაგები სიტუაციის არსებობა (მაგ.: შესაბამისი გარემო);
- მონაწილეების თანაბარი ჩართულობა აქტის აღქმის პროცესში (რამდენად სწორად და მიზანმიმართულად იქნა გადაცემული და გაგებული ინფორმაცია);
- შესაბამისი უფლებამოსილების ქონა განაცხადის გასაკეთებლად.

სამეტყველო აქტების თეორიაში გამოიყოფა სამეტყველო აქტის ანალიზის სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი (Yule, 1996 :48). პირველი, რომელიც გამონათქვამის საფუძველს წარმოადგენს არის **ლოკუციური აქტი** (ლათ. locution - თქმა), რომელიც წარმოადგენს რამოდენიმე ეტაპისაგან შემდგარ პროცესს. აღნიშნული ეტაპები სხვადასხვა ლინგვისტთა ნაშრომებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, ინგლისელი ენათმეცნიერის, ჯონ ლაიონსის აზრით (Lyons, 1977 :730-731), ლოკუციური აქტი შედგება სამი ეტაპისაგან:

1. გამონათქვამის მონახაზის გაკეთება (წერის დროს სიმბოლოების, ხოლო ზეპირმეტყველების დროს ბგერების შექმნა).

2. წინადადების შექმნა, კონკრეტული ენის გრამატიკის სინტაქსის წესების თანახმად

3. კონტექსტუალიზაცია, ანუ გამონათქვამის შესაფერის კონტექსტში ჩასმა და მისთვის იმ, რეალური ფორმის მიცემა, რომელიც მას გასაგებს გახდის.

გამონათქვამის ჩამოყალიბებას წინ უძღვის წინასწარ, გონებაში ჩამოყალიბებული ფუნქცია, რომელსაც ეს გამონათქვამი ასრულებს. ეს, სამეტყველო აქტის მეორე განზომილებას წარმოადგენს, რომელსაც **ილოკუციური აქტი** ეწოდება (Yule, 1996 :48). ილოკუციური აქტი სრულდება გარკვეული კომუნიკაციური მიზნით და განიხილება მისი არაენობივი კუთხის თვალსაზრისით. ამ მიზანს გამონათქვამის **ილოკუციურ ძალასაც** უწოდებენ (იქვე).

ილოკუციური ძალის ამოსაცნობად (IFID – Illocutionary Force Indicating Device (Yule, 1996 :49) ანუ, იმის დასაზუსტებლად თუ რას ისახავს მიზნად მეთყველი სუბიექტი, ყურადღების გამახვილება ხდება გამონათქვამებში იმ ზმნებზე, რომლებიც პირდაპირ ასახელებს შესრულებულ ილოკუციურ აქტს. მაგალითად: *გიბრძანებ, გთხოვ, გეკითხები* და ა.შ. ასეთ ზმნებს ჯ. ლ. ოსტინი **პერფორმატივებს** უწოდებს, ხოლო წინადადებებს - **პერფორმატიულ წინადადებებს** (ინგ. Perform = შესრულება, განხორციელება) (Austin, 1962 :6). მისი სიტყვების თანახმად, ასეთი ტიპის გამონათქვამებში აშკარად ჩანს, რომ მთქმელი (რა თქმა უნდა, სათანადო გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაში) კი არ

აღწერს საკუთარ ქმედებას, არამედ ასრულებს მას. ამის გასაგებად ოსტინი (1962 :4-5) გვთავაზობს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ **კონსტატივები** და **პერფორმატივები**.

კონსტატიური გამოთქმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი წინადადება: „*მზე აღმოსავლეთიდან ამოდის*“, ხოლო პერფორმატივის მაგალითს წარმოადგენს, მაგალითად მოსამართლის განცხადება: „*დამნაშავეს მიესაჯოს 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა*“. როგორც ამ ორი წინადადების შედარებით ჩანს, კონსტანტივებსა და პერფორმატივებს შორის არსებული განსხვავება მართლაც თვალსაჩინოა. „კონსტატივები რაიმე ვითარების აღწერას წარმოადგენენ, ხოლო პერფორმატივები კი კონკრეტული მოქმედების განხორციელებას“ (ბიჭაშვილი, 2006 :26).

გამონათქვამი ყოველთვის რაიმე მიზნის მატარებელია და აქედან გამომდინარე, ლოგიკურად, ის გათვლილია ამ მიზნის მიღწევაზე, ანუ შედეგის მიღებაზე. სამეტყველო აქტი, განხილული მის მიერ გამოწვეული რეალური შედეგების ასპექტში, წარმოადგენს **პერლოკუციურ აქტს** (თევზაძე, 2012 :62).

პერლოკუციური აქტი ორიენტირებულია ადრესატზე, კერძოდ იმაზე, თუ რა შედეგი ექნება მასზე წარმოთქმულ გამონათქვამს. ჯ. ლ. ოსტინმა აღნიშნული აქტის ცალკე გამოყოფით, კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოკვეთა სამეტყველო აქტის ინტერსუბიექტურობის საკითხი, სადაც ორივე კომუნიკანტი თანასწორი უფლების მქონე სუბიექტად მოიაზრება.

იგივე ცნებას - **პერლოკუციური ეფექტი** ვხვდებით ჯ. იულთან. ამ ავტორის თანახმად, პერლოკუციურ ეფექტზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეტყველი სუბიექტის მიზანი მიღწეული იქნება და მსმენელი შეასრულებს მოსაუბრის მიერ განზრახულ ქმედებას (Yule, 1996 :49).

ყოველივე ზემოთ თქმულის განხილვისა და ანალიზის შემდეგ ა. დურანტი სვამს კითხვას, არსებობს თუ არა ზღვარი ყველა იმ ქმედებებისა, რაც ენობრივი ქმედებით შეიძლება აღვასრულოთ (Duranti, 1997 :222). ამ კითხვაზე არაერთგვაროვანი მოსაზრება გააჩნდათ მკვლევრებს. მაგალითად ლ. ვიტგენშტეინი თვლიდა, რომ ამის განსაზღვრა შეუძლებელია ერთხელ და

სამუდამოდ (Wittgenstein, 1958 :11), რადგან ენა მუდმივად ცვალებადი და განვითარებადი ორგანიზმია, რომელშიც დაუსრულებლად შემოედინება ახალი ელემენტები და დავიწყებას ეძლევა ძველი. თუმცა ჯ. ოსტინს ამის თაობაზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდა და თვლიდა, რომ პოტენციურად უსაზღვრო ფენომენის განსაზღვრულ ტიპოლოგიურ ჯგუფებად დაყოფა შესაძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, მან წარმოადგინა ილოკუციური აქტის ხუთი ძირითადი ტიპი: 1) Verdictives (ვერდიქტივები, გადაწყვეტილების გამომხატველი), 2) Exercitives (აქტიური სამეტყველო აქტი, რომელიც ადასტურებს ძალაუფლების გამოყენებასა და გავლენას); 3) Commisives (კომისივები); 4) Behabitives (ბიჰებიტივები); 5) Expositives (ექსპოზიტივები) (Austin, 1962 :150).

აღნიშნული კლასიფიკაცია ოდნავ სახეცვლილად წარმოგვიდგინა ჯ. სერლიმ (Searle, 1975 :354).

სერლის შეხედულების თანახმად ენის სამეტყველო აქტების თვალსაზრისით აქტუალიზაციის შემთხვევები 5 მთავარი ჯგუფით არის წარმოდგენილი:

1. **ასერტივები**, რომლებსაც ჯ. იული რეპრეზენტატივებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს არის მოსაუბრის მიერ წარმოდგენილი სამყარო საკუთარი ხედვით.

მაგ.: Chomsky didn't write about peanuts. (*ჩომსკი არ წერდა მიწის თხილის შესახებ*.) (Yule, 1996 :53)

2. **დირექტივები** ისეთ სამეტყველო აქტს გულისხმობს, როდესაც მოსაუბრე სხვადასხვა ფორმით ცდილობს აიძულოს მსმენელი შეასრულოს გარკვეული ქმედება.

მაგ.: Don't touch that! (*მაგას არ შეეხო!*) (Yule, 1996 :54)

3. **ექსპრესივები**, სადაც წარმოდგენილია მოსაუბრის ამოკიდებულება მანამდე შესრულებული ქმედების მიმართ ან ასახულია მოსაუბრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

მაგ.: Congratulations! (*გილოცავთ!*) (Yule, 1996 :53)

4. კომისივები, რომლებშიც მთქმელი ვალდებულებას იღებს, იმოქმედოს, სამეტყველო აქტით გამოხატული გამონათქვამის შესაბამისად.

მაგ.: We will not do that. (*ჩვენ ამას არ გავაკეთებთ*) (Yule, 1996 :54)

5. დეკლარატივები, რომლის პროპოზიცია მოიცავს ისეთი სახის განცხადებას როგორცაა ადამიანის დამნაშავედ ცნობა ან საქორწინო სახლში ცოლ-ქმრად გამოცხადება. ასეთ დროს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მოსაუბრე სუბიექტის ინსტიტუციონალურ როლს, ანუ, რამდენად უფლებამოსილია ესა თუ ის პიროვნება აღნიშნული განცხადების გასაკეთებლად.

მაგ.: Referee: You're out! (*მსაჯი: გაძევებული ხართ მოედნიდან!*) (Yule, 1996 :53)

ზემოთ აღნიშნული თეორიული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუქარა შეიძლება, გარკვეულწილად, მივაკუთვნოთ სამეტყველო აქტების ორ ჯგუფს: - დირექტივებსა და კომისივებს. მუქარა გულისხმობს მთქმელის მხრიდან მსმენელზე ზეწოლის განხორციელებასა და მისთვის არასასურველი გარემოს შექმნას, ისევე როგორც, დირექტივების სამეტყველო აქტში შეიძლება მოისაზრებოდეს ისეთი სახის განცხადებები, როდესაც მთქმელი ცდილობს აიძულოს მსმენელი განახორციელოს რაიმე ქმედება.

მაგ.: გიორგი მარგველაშვილი გიორგი თარგამაძეს: „ცოტა ხანი მოისვენე, თორემ მოგასვენებ!“

კომისივების სამეტყველო აქტი კი პირდაპირ მუქარას ასახავს, სადაც მთქმელი ვალდებულებას იღებს, იმოქმედოს, გამონათქვამის შესაბამისად.

მაგ.: სოსო მანჯავიძე ალეკო ელისაშვილს: „შენი საძველბიჭო მალე დასრულდება... მაგ სისულელეების ლაპარაკისთვის პასუხს მოგთხოვ!“

მუქარა, ძირითადად, წარმოადგენს სოციალურად აგებულ, ლინგვისტური ძალის მქონე აქტს - ორ მხარეს - დამმუქრებელსა და დამუქრებულს შორის და მოსალოდნელ ფატალურ განადგურებას მოასწავებს. კერძოდ, მუქარის აქტი, ბურდიესეული გაგებით, წარმოადგენს გრძელვადიან, მტკიცე სოციალური

ურთიერთობების წყობას, რაც ინდივიდს მუქარის შესრულების საფუძველს აძლევს (Bourdieu 1991 :8).

თ. გეილსის (Gales, 2010) შრომებს თუ არ ჩავთვლით, მუქარის შესახებ სრულყოფილი კვლევა არ ჩატარებულა. მკვლევართა ნაწილი (მაგ.: Salgueiro, 2010; Muschalik, 2018) მხოლოდ გარკვეული ასპექტების მიმოხილვას ახდენდა და თითქმის არავის შეუსწავლია მუქარის ცნება და მისი პრობლემატიკა ინტერპერსონალური კომუნიკაციის სფეროს კუთხით.

მუქარა, როგორც ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთი სახე, ნებისმიერი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, მუქარის, როგორც სოციალური ფენომენის ახსნა და გაგება შეუძლებელია სოციალური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.

ბ. ფრეიზერის (Fraser 1998 :161) თეორიის მიხედვით, მუქარა წარმოადგენს წინასწარ განზრახულ სამეტყველო აქტს, რომელსაც შეტყობინების ფორმა აქვს და გამიზნულია სასურველი ინფორმაციის გადასაცემად.

ფსიქოლოგებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ მუქარის გამომწვევი მიზეზები შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს: სიბრაზისგან გათავისუფლება, შიშის ჩანერგვა, სასურველი შედეგის მიღების მცდელობა, ყურადღების მიქცევა, თავის გადარჩენის მცდელობა და სხვა (Milburn & Watman, 1981; Fraser, 1998).

მუქარის სხვადასხვა სახის არსებობის შესახებ არაერთ მეცნიერს უმსჯელია. თუმცა ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და ზუსტ კატეგორიზაციას ისევ თ. გეილსის კვლევებში ვხვდებით (Gales 2010 :272). აქ წარმოდგენილია მუქარის სამი ძირითადი კატეგორია:

პირდაპირი მუქარა: როდესაც დაკონკრეტებულია მოქმედების სახე, დრო, ადგილი და/ან მსხვერპლის ვინაობა.

მაგ. ა) „*Stop interfering with us. I would be happy to hang you. If it were up to me, I would hang you all.* “ -Philippines president Rodrigo Duterte.

ბ) ირმა ინაშვილი გიგლა აგულაშვილს: ნუ გექნებათ იმედი, რომ ასე იჯდებით და მშვიდათ მიყურებთ, ისევე როგორც მიშა გიორგაძე, თქვენც აგებთ პასუხს, დრო მოვა! უბრალოდ გეუბნებით, რომ პასუხს აგებთ, გესმით?!

პირობითი მუქარა: მუქარა განპირობებულია მსმენელის მოქმედებით.

მაგ. ა) "If a new HealthCare Bill is not approved quickly, BAILOUTS for Insurance Companies and BAILOUTS for Members of Congress will end very soon!" Trump tweeted.

ბ) ისლამის სახელმწიფოს ხალიფატის მუქარა საქართველოს მიმართ: თუ ჩვენ სამი დაგვარგეთ, თქვენ 1000 დაკარგავთ.

ფარული მუქარა: დაკონკრეტებული არ არის არც მოქმედების სახე, არც დრო, არც ადგილი და არც მსხვერპლის ვინაობა. ამავდროულად ადრესატს არ ეძლევა რაიმე ქმედების შესრულება/შეუსრულებლობის ვალდებულება არასასურველი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

მაგ. ა) *Politician Kirby Delauter: "Your rights stop where mine start."*

ბ) *რეზო ამაშუკელი: "ჩემი სამშობლოს გაუბედურებას მე არავის შევარჩენ!"*

გარდა ზემოხსენებული ტერმინებისა, რომლითაც წარმოდგენილია მუქარის სამი ძირითადი ჯგუფი, არსებობს სხვა ტერმინებიც, რომლებიც სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში ფიგურირებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის შინაარსობრივი სხვაობა ან არ არსებობს, ან უმნიშვნელოა. თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ცხრილი №1, სადაც წარმოდგენილია ტერმინების შედარება.

ცხრილი №1

მუქარის ტიპები თ. გეილსის მიხედვით	მუქარის ტიპები სხვა ავტორების მიხედვით
Veiled - ფარული	Implied (Meloy et al., 2008)
Conditional - პირობითი	Contingent (Geiwitz, 1967) Incentive (Scanlon, 2008) Manipulative (in Beller et al., 2005)

Direct - პირდაპირი	Noncontingent (Geiwitz, 1967) Nonincentive (Scanlon, 2008)
--------------------	---

მუქარის ტიპების განსაზღვრის გარდა, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს აგრეთვე მუქარის დონეების დადგენა. FBI-ს რეკომენდაციების თანახმად არსებობს მუქარის სამი დონე (*Threat Assessment Procedures Manual*, 2017 :7):

- **დაბალი დონის მუქარა**, რომელიც მსხვერპლისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის მინიმალური რისკის შემცველია; ბუნდოვანი და არაპირდაპირია; ინფორმაცია შეუსაბამო, ურთიერთგამომრიცხავი, შეუთავსებადი და არადამაჯერებელია, ან შეიმჩნევა დეტალების სიმცირე; მუქარის შინაარსიდან გამომდინარე ცხადად ჩანს, რომ დამმუქრებელი არ არის განცხადებულის ჩამდენი.

- **საშუალო დონის მუქარა** - შესაძლოა ექვემდებარებოდეს განხორციელებას, თუმცა ნაკლებად რეალისტურია; გაცილებით მეტ დეტალებს შეიცავს და უფრო პირდაპირია გამოხატვაში, ვიდრე დაბალი დონის მუქარა; ტექსტის ფორმულირება გარკვეულ მინიშნებას იძლევა, თუ რა საშუალებით აპირებს დამმუქრებელი განახორციელოს ჩანაფიქრი; დროისა და ადგილის ზოგადი მინიშნება არის, თუმცა მოქმედების დეტალები მაინც დაუზუსტებელია; არ შეიმჩნევა მინიშნება წინასწარ ჩატარებული რაიმე მოსამზადებელი აქტივობების შესახებ; განცხადებაში მოყვანილია ისეთი ფრაზები, რომელიც ადრესატს დაარწმუნებს, რომ ეს უბრალო სიტყვები არ არის და განზრახვა სერიოზულია (მაგ.: “I’m serious!” “I really mean it!”).

- **მაღალი დონის მუქარა** - პირდაპირი, კონკრეტული და დამაჯერებელია; გარდაუვალი და სერიოზული საფრთხის შემცველობის მაღალი მაჩვენებელი იგრძნობა მასში; მასში დეტალურად არის აღწერილი ის ნაბიჯები, რაც გადაიდგა ჩანაფიქრის განსახორციელებლად (მაგ.: იარაღის შეძენა / დამზადება); თითქმის ყოველთვის მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოების ძალისმიერ ჩარევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი და მეცნიერულად დასაბუთებული ხერხი მუქარის დონეების დასადგენად არ არსებობს და ზოგჯერ შეიძლება დონეებს

შორის გარდამავლობა შეინიშნებოდეს (იქვე) თუმცა, არსებობს ორი ძირითადი ელემენტი, რომლებიც დიდად გვეხმარება მუქარის დონის განსაზღვრაში.

პირველი გახლავთ **შინაარსის სპეციფიკა**. ნებისმიერი მუქარის ანალიზი, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს მისი შინაარსის მიხედვით. განვიხილოთ ორი მაგალითი:

მაგ. ა) *“I am not afraid of an arrest but I won’t go down alone, it’s time some politicians are exposed.” Nana Appiah Mensah tweeted. („დაპატიმრების არ მეშინია, მაგრამ ციხეში მარტო არ წავალ, ზოგიერთი პოლიტიკოსის გამომჟღავნების დრო დადგა. “ წერს თავის ტვიტერ გვერდზე ნანა აპია მენსა).*

ბ) *“My name is Carmine,” ... “I don’t know why you’re f***ing with Mr. Trump but if you keep f***ing with Mr. Trump, we know where you live and we’re going to your house for your wife and kids.” („ჩემი სახელია კარმინი“... „არ ვიცი, რას ერჩით ბატონ ტრამპს, მაგრამ თუ ასე გააგრძელებთ, ვიცით სადაც ცხოვრობთ და თქვენს ცოლ-შვილს მივაკითხავთ სახლში.“).*

პირველი შემთხვევა დაუკონკრეტებელი და ბუნდოვანი განაცხადია, მაშინ როდესაც, მეორე შემთხვევაში ზუსტად არის მითითებული მუქარის ადრესატი, და მოსალოდნელი ძალადობის ჩადენის ადგილი. რაც უფრო კონკრეტულია მუქარის ტექსტი, მით უფრო მაღალია მოსალოდნელი საფრთხის სერიოზულობა.

მუქარის დონის განსაზღვრის მეორე ფაქტორს წარმოადგენს შინაარსის დამაჯერებლობა. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილი ორი განცხადებიდან, პირველი ნაკლებად სარწმუნო და დამაჯერებელია, ამიტომაც საფრთხესაც არ წარმოადგენს. მაშინ როცა, მეორე, დაზუსტებული ინფორმაციის შემცველია და მოითხოვს სერიოზულ დამოკიდებულებას.

მაგ: ა) *“As some day it may happen that a victim must be found” („ერთი დღეც იქნება და მსხვერპლს იპოვიან.“) (Gales, 2010 :251)*

ბ) *“Toyota Motor said will build a new plant in Baja, Mexico, to build Corolla cars for U.S. NO WAY! Build plant in U.S. or pay big border tax. („ტოიოტა მოტორსი აცხადებს, რომ ახალი ქარხნის აშენებას აპირებს ბაჟაში, მექსიკაში, სადაც კოროლას მარკის მანქანებს გამოუშვებენ ამერიკისათვის. გამორიცხულია!*

ან ამერიკაში ააშენეთ თქვენი ქარხნები ან გადაიხადეთ მაღალი საბაჟო გადასახადები.”).

მუქარის რეალური შედეგის შესაფასებლად, გარდა ზემოთ თქმულისა, სხვა მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი: მთქმელის პოზიცია, კონტექსტი, სქესი, კულტურა და სხვა. მაგალითად ის, რაც ერთი ქვეყნის კულტურისათვის მისაღებია, მეორე კულტურაში შესაძლოა შეურაცხმყოფელი იყოს; ერთი მამაკაცის მიერ მეორისადმი მიმართული მუქარის განხორციელების ალბათობა უფრო დიდია, ვიდრე ქალის მხრიდან იგივე ტიპის მუქარისა და სხვა.

გამომდინარე იქიდან, რომ მუქარა წარმოადგენს კომუნიკაციის ერთ-ერთ ფორმას, ხოლო კომუნიკაცია ადამინის სოციალური ინტერაქციის განუყოფელი ნაწილია და სოციოლინგვისტიკა კი ენაზე სოციალური ფაქტორების გავლენას სწავლობს, მუქარის ენის კვლევისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დავუთმოთ ყველა იმ სოციოლინგვისტური ცვლადის შესწავლას, რომელსაც მუქარის ენის ფენომენტან მხები წერტილები გააჩნია. როგორც რონალდ უორდჰაუ (Wardhaugh, 2006 :143) აღნიშნავს: „ლინგვისტური ცვლადი არის ლინგვისტური ელემენტი, რომელსაც აქვს იდენტიფიცირებადი ვარიანტები”. მაგალითისათვის ამავე ავტორს მოყვანილი ჰყავს შემდეგი ინგლისური სიტყვები: *'singing'* და *'fishing'*, რომლებიც ზოგჯერ გამოითქმის როგორც *'singin'* და *'fishin'*. ამ სიტყვების ბოლო ბგერები (*ng*) აღნიშნავენ სწორედ ლინგვისტურ ცვლადს, რომელიც, ამ შემთხვევაში, ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი: [ŋ] - *'singing'*; *'fishing'*, და [n] - *'singin'*; *'fishin'*. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვარიანტების ურთიერთშეფარდება ხდება სხვადასხვა სოციალურ მახასიათებლებთან, როგორც არის, მაგალითად, ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი და სხვა, ლინგვისტური ცვლადი იქცევა სოციოლინგვისტურ ცვლადად (ლადარია, 2002 :61).

ვერბალური მუქარა, ისევე როგორც კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა ფორმა და/ან სამეტყველო აქტის სახე განიცდის ისეთი სოციოლინგვისტური ცვლადების გავლენას, როგორც არის ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი. ასეთი ცვლადების არსებობის უგულებელყოფა დაუშვებელია, რადგან, ისინი

დამატებითი ინფორმაციის მატარებლები არიან და მათი არსებობა საერთო, სრულყოფილი სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

II თავი. მუქარის ფორმები და მისი გამოხატვის პრაგმატიკული თავისებურებები

თავაზიანობის საკითხით დაინტერესება მეცნიერულ თუ არა მეცნიერულ წრეებში დღითიდღე იზრდება. ლინგვისტიკაში „თავაზიანობა“ სხვადასხვანაირად არის განმარტებული; მაგალითად ჯ. იული (1996 :60) თავაზიანობას განიხილავს, როგორც საყოველთაოდ აღიარებულ და მიღებულ ცნებას, რომელიც ნებისმიერ კულტურაში დამკვიდრებულია. მისი განმარტებით, თავაზიანობა გულიხმობს თავაზიან და კულტურულ ქცევას და იგივეა რაც ეტიკეტი (*polite social behavior*).

მიუხედავად თავაზიანობის ცნების განმარტებების სიუხვისა (ლეიკოფი, 1975; ბრაუნი და ლევენსონი 1987; უოტსი 1989), შინაარსი მაინც უცვლელი რჩება: საზოგადოების წევრები ურთიერთქმედებისას იყენებენ თავაზიანობას, რათა თავი აარიდონ კონფლიქტურ სიტუაციებს და შეინარჩუნონ სასურველი სოციალური იმიჯი (სახე).

იმისათვის, რომ განვასხვავოთ „თავაზიანობის“ ცნება, რომელიც ყოველდღიურ ურთიერთობაში გვხვდება ლინგვისტური თავაზიანობისაგან მეცნიერები უოტსი, იდე და ელიკი (Watts et al., 2005 :3) გვთავაზობენ ტერმინებს, - „პირველი რიგის თავაზიანობა“ (*first-order politeness*) და „მეორე რიგის თავაზიანობა“ (*second-order politeness*).

„პირველი რიგის თავაზიანობა“ სოციალური ტერმინია და მისი მაგალითებია: ბოდიშის მოხდა ვინმეზე ფეხის დაბიჯების შემთხვევაში, ან მაღლიერების გამოხატვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მიღებული მომსახურებისათვის და სხვა. ხოლო „მეორე რიგის თავაზიანობა“, ლინგვისტურ ტერმინს წარმოადგენს და განიხილავს ყველა იმ შესაძლო სიტუაციას, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი განსხვავებულ დროსა და სივრცეში და შესაბამისად მოახდინოს კონკრეტული ენობრივი სტრატეგიის იდენტიფიცირება,

რომლის გამოყენებაც მას საშუალებას მისცემს წარმატებულად გაართვას თავი მის წინაშე წამოჭრილ ამოცანას - აწარმოოს წარმატებული, უკონფლიქტო, ყველა კომუნიკანტისათვის მისაღები კომუნიკაცია და მის განსახორციელებლად გამოიყენოს შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საკომუნიკაციო საშუალებები.

თავაზიანობის თეორიას, რომელსაც 1970-იანი წლების ბოლოს საფუძველი ჩაუყარეს პენელოპე ბრაუნმა და სტეფან ლევენსონმა, უკავშირდება **სახის ცნება** და აგრეთვე ისეთი ტერმინები როგორცაა: სახის მოთხოვნა (*face want*) დადებითი და უარყოფითი სახე (*positive and negative face*), დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა (*positive and negative politeness*), თავაზიანობის სტრატეგიები (*politeness strategies*) და სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტები (*face threatening (FTA) an face saving (FSA) acts*).

ენობრივი ურთიერთქმედების შესწავლაში „სახის“ ცნება, როგორც ლინგვისტური ტერმინი, პირველად გოფმანის (Goffman, 1967 :5) ნაშრომებში გვხვდება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ სახესთან პირდაპირ კავშირშია დადებითი სოციალური ფასეულობები (*“positive social value”*) რომლის შენარჩუნებაც გვსურს სოციალური ურთიერთობების პროცესში.

გოფმანის მიერ შემოთავაზებული „სახის“ ცნებაზე დაყრდნობით კ. ბრაუნმა და ს. ლევენსონმა განავითარეს თავაზიანობის თეორია და შემოიღეს ტერმინები „დადებითი სახე“ (*“positive face”*) და „უარყოფითი სახე“ (*„negative face”*) (Brown et al., 1987 :62), რომელთა განმარტებაც შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ სახის რა ტიპის მოთხოვნა (*face want*) გააჩნია პიროვნებას. „სახის მოთხოვნა“ ეს არის სურვილი იმისა, რომ წარვსდგეთ საზოგადოებაში ჩვენთვის მისაღები ფორმით.

უარყოფითი სახე ნიშნავს პიროვნების სურვილს იყოს დამოუკიდებელი და თავისუფლად შეძლოს მოქმედება. ხოლო დადებითი სახე გულისხმობს ადამიანის სურვილს იყოს დაკავშირებული სხვებთან, თავს გრძნობდეს ჯგუფის წევრად და აცნობიერებდეს, რომ მის სურვილებს, სულ მცირე, ერთი ადამიანი მაინც იზიარებს (Yule, 1996 :62, Brown et al., 1987 :62).

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, პ. ბრაუნი და ს. ლევინსონი გვთავაზობენ თავაზიანობის ორ ტიპს: დადებით და უარყოფით თავაზიანობას (*positive and negative politeness*) (Brown et al., 1987 :70). დადებითი თავაზიანობის მიზანია კომუნიკანტთა შორის ახლო ურთიერთობების წარმოჩენა.

მაგ.: 1. *How about letting me use your pen?* (კალმის თხოვებაზე რა აზრის ხარ?) (Yule, 1996 :64).

ხოლო უარყოფითი თავაზიანობა, იგი მსმენელის ნეგატიური სახის შენარჩუნებისაკენ მიმართული მოქმედებაა.

მაგ.: 1. *Could you lend me a pen?* (კალამს ხომ ვერ მათხოვებდით?) (Yule, 1996 :64).

პ. ბრაუნისა და ს. ლევინსონის განმარტების მიხედვით, უარყოფითი თავაზიანობა ძირითადი საშუალებაა პატივისცემის გამოხატვისა, მაშინ როდესაც დადებითი, პირიქით, ახლობლურ და შეხუმრებულ ქცევას ეფუძნება (Brown et al., 1987 :129).

აღნიშნული განმარტების საფუძველზე, პ. ბრაუნი და ს. ლევინსონი ასკვნიან, რომ დასავლეთის ქვეყნების კულტურის და მათ შორის ინგლისური ენისათვის დამახასიათებელია ძირითადად უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიების ხშირი გამოყენება. (Brown et al., 1987 :129-130).

ამის საპირისპიროდ, თუ გავითვალისწინებთ ქართულ უშუალო, ფამილიარული ურთიერთობების მოყვარულ ხასიათს, რომელიც ჩვენი კულტურის განუყოფელ ნაწილად ითვლება, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართულ ენაში ჭარბობს დადებითი თავაზიანობის სტრატეგიების გამოყენება.

მუქარა სამეტყველო აქტების თეორიის მიხედვით ტრადიციულად კლასიფიცირდება როგორც კომისივების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი. მისი მეშვეობით მოსაუბრე აჟღერებს განზრახვას სამომავლო ქმედებისათვის, რომელიც არახელსაყრელი და არასასურველია ადრესატისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ მუქარა დანაშაულებრივ, დასჯად ქმედებად შეიძლება იქნას მიჩნეული, იგი ხშირად ფარული, შენიღბული ფორმით გამოიხატება. ამ

მეთოდით ადრესანტები თავს იკავებენ საკუთარ განაცხადში მეტი ექსპლიციტურობის შეტანისაგან და ინფორმაციის დეკოდირებას ადრესატებს ანდობენ, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების მიზნით, შეძლონ მათ წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების უარყოფა.

მუქარა მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, თუ მის სამიზნეს შეუძლია აღიაროს იგი და აღიქვას მოსალოდნელი საფრთხე, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება წარუმატებელი სამეტყველო აქტი. აქედან გამომდინარე, მუქარის გამოხატვა უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური, თუნდაც არაპირდაპირი, მაგრამ იდენტიფიცირებდი.

მუქარის ფენომენის განხილვისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც პოზიციის ცნებაა. დ. ბიბერის აზრით (Biber et al., 1999 :966), კონკრეტული პოზიცია, მოსაუბრის ან მწერლის პირადი გრძნობები, აზრები და დამოკიდებულება პიროვნების ან საკითხის მიმართ, ზოგადად შეიძლება გამოიხატოს იმ ლექსიკურ-გრამატიკული ხერხების გამოყენებით, რომლებსაც თავად პიროვნება ირჩევს. ამავე ავტორის მტკიცებით, ტექსტში პოზიციის გამოხატვის სამი ძირითადი ფორმა არსებობს: პარალინგვისტური, ლექსიკური და გრამატიკული (იქვე). თითოეული მათგანი, ჩვენს შემთხვევაში, შეგვიძლია განვიხილოთ მუქარის გამოხატვის კუთხით პრაქტიკული მაგალითების წარმოდგენის გზით.

პოზიციის გამოხატვის პარალინგვისტური ხერხში გაერთიანებულია მეტყველების ტემბრი, მისი ხანგრძლივობა და სიმაღლე; ხოლო ექსტრალინგვისტური ხერხები მოიცავს ჟესტებსა და სხეულის ენას, სახის გამომეტყველებას. აღნიშნული ხერხების გამოყენებით ავტორი გამოხატავს გრძნობებსა და დამოკიდებულებს ინფორმაციის მიმღების და/ან სასაუბრო საკითხის მიმართ. ექსტრალინგვისტურ ელემენტებს ასევე მიეკუთვნება ემოციების გამომხატველი სიმბოლოები, აკრონიმები, ტექსტის გამუქება, ინგლისურ ენაში მთავრული ასოების გამოყენება, პუნქტუაციის ნიშნების მრავალჯერადი გამოყენება, შრიფტის გადახრა (კურსივირება) და სხვა.

ტექსტში პოზიციის გამოხატვის კიდევ ორი ხერხი არსებობს – ლექსიკური

და გრამატიკული, რომელთაც დ. ბიბერი პოზიციის აშკარა გამოხატულებებს უწოდებს (Biber et al., 1999 :968).

ვ. შახოვსკის მიხედვით (Шаховский, 2009 :91), ემოციების გამომხატველი ლექსიკა შესაძლოა დაიყოს სამ ჯგუფად: 1) ლექსიკა, რომელიც **ასახელებს** ან აღნიშნავს ემოციას; 2) ლექსიკა, რომელიც **აღწერს** ემოციას; 3) ლექსიკა, რომელიც **გამოხატავს** ემოციას.

პირველ ჯგუფში შემავალი ლექსიკური ერთეულები აღნიშნავს ემოციურ მდგომარეობას და მათ შეიძლება ეწოდოს ლოგიკურ-საგნობრივი. ემოციის აღმწერი ლექსიკა შესაძლებელია იყოს ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ა.შ.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ემოციური კინემების ლექსიკური აღწერა, როდესაც სახელდება ემოციის გამომხატველი სხეულის ნაწილები (თვალები, ტუჩები, სახე) და ასევე, მოცემულია ემოციის ლექსიკური აღნიშვნა.

მესამე ჯგუფში შედის ემოტიური ლექსიკა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ემოციის გამოხატვა (Шаховский, 2009 :100).

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით შეიძლება შევადგინოთ მუქარის ამსახველი ლექსიკის ცხრილი:

პირველ ჯგუფში ერთიანდება ძირითადად არსებითი სახელები, რომლებიც ასახელებს მოქმედებას.

მეორე ჯგუფი წარმოდგენილია ზედსართავებითა და ზმნიზედებით, რომლებიც აღწერს მოქმედებას ან ახასიათებს მოსაუბრის მდგომარეობას.

მესამე ჯგუფი შეიცავს ზმნებს და უშუალოდ გამოხატავს იმ განზრახვას, რის შესრულებასაც აპირებს მოსაუბრე. აღნიშნული ჯგუფი, ჯ. ოსტინის კლასიფიკაციის მიხედვით პერფორმატიული ზმნების ჩამონათვალს წარმოადგენს.

გარდა ზემოთ ხსენებულისა, ქართული ენა გამოირჩევა მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიური და იდიომატური ერთეულების დიდი სიუხვით, რომლებიც მრავლად გვხვდება როგორც ლიტერატურულ, ისე ყოველდღიურ მეტყველებაში. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ

ამგვარ ფრაზეოლოგიზმებში ჭარბობს სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვების, ანუ სომატური იდიომების გამოყენება, რაც დამმუქრებლის მხრიდან სიტყვიერი მუქარის ფიზიკურ აგრესიაში გადაზრდის დიდი ალბათობის მიმანიშნებლად შეიძლება ჩავთვალოთ. რადგან, როგორც დოქტორი დენის დევისი აღნიშნავს: „ძალადობა იწყება აზრებით, ჯერ გადადის ენობრივ გამოხატულებაში და შემდეგ ქმედებებში“ (Davis, 1997 :13).

ცხრილი №2 მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ქართულ ენაში


სომატური იდიომები	კოლოკვიალიზმები	ფერები	სხვა (ცეცხლი, ჯოჯოხეთი)
<ul style="list-style-type: none"> • ლაყუჩებს /ყურებს აგახევ! • ტყავს გაგაძრობ! • თმით გითრევ! • სიმწრით წვერ-ულვაშს გაგლეჯინებ! • ცხვირიდან ძმარს გადენ! • ცხვირ - პირიდან სისხლს განთხევინებ! • ფეხებით შეგდგები! • ზურგზე ბრდღვირს ვადენ! • წიხლქვეშ დაგიდებ! • დაგშლი მარტივ მამრავლებად! • სახსრებში გადაგხსნი 	<ul style="list-style-type: none"> • „სპასობნია!“ • შეეშვი, ნუ „ტისკავ“! (თორაძე, 2016 :53) • მისაღები მიიღება,... ეტყვი რომ „შაკალი“ ხარ! (იქვე) • ვინც „ტრუპს“ აიკიდებს, იმას მე გამოვუღებ „ფარშს“! (იქვე) 	<ul style="list-style-type: none"> • შავ დღეს დაგაყრი! • ცემაში დაგალურჯებ! 	<ul style="list-style-type: none"> • ნაცარტუტად გაქცევ! • გაგაცამტვერებ! • ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევ! • გაჩენის დღეს /დაბადებას გაწყველინებ! • "ისეთი შემოგილაწუნო , ორი კაცი პარადად მოგეჩვენოს!"

ინგლისური ენა, ისევე როგორც ქართული, ხასიათდება ფრაზეოლოგიზმების უხვი გამოყენებით. ამ მხრივ, არც მუქარის ენაში გვხვდება სიმწირე, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ კოლოკვიალიზმებს ახასიათებს არანორმატიული ლექსიკის გაცილებით ხშირი გამოყენება. სხეულის ნაწილების დასახელება მუქარის შემცველ განცხადებებში

ინგლისურენოვან ფრაზეოლოგიზმებშიც ყველაზე დიდი რაოდენობით ფიქსირდება სხვა დანარჩენ ელემენტებთან შედარებით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ძირითადად, ფერები, რომლებიც მუქარის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში ფიგურირებს, ორივე ენაში ერთი და იგივეა, - შავი და ლურჯი.

ცხრილი №3 მუქარის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები ინგლისურ ენაში

Body parts	Colloquials /Slang	Colors	Other
<ul style="list-style-type: none"> • skin someone alive (=to punish someone severely) <i>e.g. "If that kid damages my car again, I'll skin him alive!"</i> • eat someone alive (=defeat or beat someone comprehensively) <i>e.g. "You bring out the worst in me, I'll eat you alive."</i> • bite someone's head off (=criticize someone strongly; be harsh on someone) <i>e.g. "I'll bite your head off, if you come too close to</i> 	<ul style="list-style-type: none"> • take it outside (=to fight. Also <i>take this outside</i>). <i>e.g. Do you want to take it outside?</i> • get medieval (=to torture terribly, in the medieval style) <i>e.g. I'm going to get medieval on his a**!</i> • make (one) dust (one's) back off (=to physically attack someone) <i>e.g. "Keep talking s**t and I'm going to make you dust your back off."</i> • open a can of whoop-ass (=to beat someone up) <i>e.g. "If he screws with</i> 	<ul style="list-style-type: none"> • to beat somebody • black and blue (=skin that is black and blue has bruises on it as a result of being hit) <i>e.g. If you do that again, I'll beat you black and blue.</i> • Black eye (=if you have a black eye, you have a dark area around your eye because 	<ul style="list-style-type: none"> • tear a strip off someone (=reprimand someone severely for doing something wrong) <i>e.g. "The teacher tore a strip off Charlie for not doing his homework."</i> • Go Nuclear (=Use an extreme measure) <i>e.g. If they try to dump more goods in our market, we'll go nuclear on them and totally shut down the trade negotiations.</i> • ball up (=to beat someone until they

<p><i>the stage.”</i></p> <ul style="list-style-type: none"> • cut/ rip one’s heart out (=destroy or seriously damage) <p><i>e.g. “I’m going to cut your (expletive) liberal bleeding heart out.”</i></p>	<p><i>me again,</i></p> <p><i>I’m gonna open a can of whoop-ass on him.”</i></p> 	<p>you have been hit)</p> <p><i>e.g. They put my name down, gave me a black eye.</i></p>	<p>enter the fetal position (their body forming a tight ball)</p> <p><i>e.g. If that guy keeps looking at me he’s gonna get balled up.</i></p>
---	---	--	---

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე ენაში გამოყენებული ფრაზეოლოგიზმების უმეტესი ნაწილის ლექსიკური მნიშვნელობა მოიცავს მუქარას, უშუალოდ, ფიზიკური ანგარიშსწორებით და მხოლოდ მცირე ნაწილი გამოხატავს ზეწოლას არა ფიზიკური ძალადობის მნიშვნელობით.

პოზიციის გრამატიკული მარკერები ორი ლინგვისტური ელემენტისაგან შედგება – ერთი წარმოადგენს პოზიციას, ხოლო მეორე პოზიციით ჩამოყალიბებულ წინადადებას, საკითხს (Biber et al., 1999 :969).

პოზიციის გრამატიკული მარკერი ინგლისურ ენაში ხუთი ძირითადი კატეგორიით აღინიშნება. ესენია: ზმნიზედა, განმსაზღვრელი წინადადება, მოდალური და ნახევრად მოდალური ზმნა, არსებითი სახელი + წინდებულიანი ფრაზა და პოზიციის განმსაზღვრელი ზმნიზედები (იქვე). ამ კატეგორიებიდან მუქარის შემცველ კომუნიკაციებში ყველაზე ხშირად გვხვდება მოდალური ზმნები, შემდეგ – დამატება წინადადებები და ზმნიზედები (იქვე).

მოდალური და ნახევრად მოდალური ზმნები ინგლისურ ენაში სამ სემანტიკურ კატეგორიად იყოფა: შესაძლებლობა, ალბათობა და საჭიროება

ალბათობის აღმნიშვნელი მოდალური ზმნები მუქარაში მოდალური ზმნების ყველაზე ხშირად გამოყენებად კატეგორიას განეკუთვნება (Gales, 2015 :1-25).

ტექსტში ავტორის პოზიციის აღმნიშვნელი ზმნიზედების სამი ძირითადი სემანტიკური კლასი გამოიყოფა (Biber et al., 1999 :854):

1) ეპისტემიკური (epistemic), რომელიც თავის მხრივ რამოდენიმე ქვეჯგუფს

მოიცავს; მათ შორის ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ზმნიზედები, რომლებიც გამოხატავენ უეჭველობას, (Certainty), შეზღუდვასა (Limitation) და ალბათობას (Likelihood)

2) დამოკიდებულების გამომხატველი (Attitude)

3) სტილის აღმნიშვნელი (Style)

გეილსის მტკიცებით, მუქარის ენაში აღნიშნულთაგან ყველაზე ხშირად უეჭველობის ამსახველი ზმნიზედები გვხვდება (Gales 2015 :1-25), რაც ჩვენს მიერ მოძიებული მაგალითების ანალიზმაც ცხადყო. კერძოდ, ჩვენს მიერ მოძიებულ მაგალითებში უეჭველობის გამომხატველი ზმნიზედები *never / never ever* და *really*, მთლიანი კატეგორიის 65% წარმოადგენენ. დანარჩენ სამ კატეგორიაში *probably* ალბათობის გამომხატველი ყველაზე მეტად გამოყენებადი ზმნიზედაა, დამოკიდებულების გამომხატველი ზმნიზედებიდან უმეტეს წილად გამოიყენება *seriously*. რაც შეეხება სტილის ზმნიზედებს, როგორც მოძიებული მაგალითების ანალიზმა აჩვენა, მუქარაში უფრო მეტი სიხშირით გამოიყენება ზმნიზედური ფრაზები ვიდრე ცალკეული ზმნიზედები, - *in harshest way; in the strongest of terms*.

ქართულენოვანი მუქარის მაგალითების ანალიზმა, განსხვავებული სურათი მოგვცა. აქ პირველ ადგილს დამოკიდებულების ზმნიზედები (*სერიოზულად, სრული სერიოზულობით, პირდაპირ*) იკავებენ 40%-ანი სიხშირის მაჩვენებლით, რომლებსაც სტილისა (*უბრალოდ, მშვიდად, მკაფიოდ, მარტივად*) და უეჭველობის (*არასოდეს, ნამდვილად, სწორედ, აუცილებლად*) ზმნიზედები მოჰყვება თანაბარი 25-25%-ით. რაც შეეხება შეზღუდვის ზმნიზედებს (*აღარ, ვეღარასოდეს*), - მათზე მხოლოდ 10 პროცენტი მოდის, ხოლო ალბათობის ზმნიზედები ქართველი პოლიტიკოსების მუქარაში საერთოდ არ ფიქსირდება.

პოზიციის გრამატიკული მარკერები გარკვეული ენობრივი ფუნქციების მატარებლებადაც გვევლინებიან. მათი დიდი უმეტესობა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში ერთი და იგივე ფორმით არის წარმოდგენილი და შესაბამისად, ფუნქციურ თანხვედრასთან გვაქვს ადგილი. (იხ. ცხრილი №4)

მუქარის ენის საერთო გრამატიკული მარკერები ქართულ და ინგლისურ ენებში	ენობრივი ფუნქცია	მაგალითები
1. პირობითი წინადადებები	1. პირობითობა	If I do not see this note in your paper, I will do something nasty, which you know I'm capable of doing (Gales, 2015: 12) თუ დანაპირებს არ შეასრულებ, შენ თავს დააბრალებ! (ბ.ჭ.)
2. მოდალობა	2. მუქარის განხორციელება, განზრახვის დემონსტრირება	I <u>must</u> destroy her! ჩვენ ის უნდა კუთხეში მივიმწყვდიოთ და ვაიძულოთ აღიაროს! (ბ.ჭ.)
3. მეორე პირის ნაცვალსახელები	3. სასურველი ობიექტის ფიქსაცია	I will have you no matter what რაც არ უნდა გააკეთო, შენ მაინც დაისჯები! (ბ.ჭ.)
4. ზმნიზედები	4. განზრახვის სერიოზულობის მაჩვენებელი ენა	I'm really honestly being serious. ნამდვილად არ გეხუმრები, არ დამიჯერებ? ნახავ რაც მოგივა...(ბ.ჭ.)
5. უარყოფითი კონსტრუქციები	5. მექანიზმის დაძლევა, უარყოფა	You never know where I will show up. არც კი იცი, როდის შეიძლება დაგატყდე თავს (ბ.ჭ.)
6. რიტორიკული	6. აგრესიასა და	Do we not deserve better?

კითხვები	პირდაპირ ჩართულობაზე მიითითება	ჩვენ რა, უკეთესს არ ვიმსახურებთ? (ბ.ჭ.)
7. ბრძანებითი წინადადებები	7. ბრძანება	Do it as I said! ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანეს! (ბ.ჭ.)
8. მომავალი დრო	8. მოქმედების განხორციელების დროის ფიქსაცია	You'll be punished for that! ამას მწარედ ინანებთ! (ბ.ჭ.)

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსებასთან ერთად განსხვავებებიც გვხვდება. მაგალითად, ქართულ ენაში მუქარას არ ახასიათებს მეორე პირის ნაცვალსახელების ხშირი გამოყენება, რამდენადაც ქართული სინთეზურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება და მუქარის გამომხატველ ზმნებშივე გამოიკვეთება მუქარის ადრესატი; მაგ.: „**განანებ იცოდე!**“ მაშინ როცა, მუქარის ობიექტის ხსენების გარეშე ინგლისურში წინადადების აგება არ ხდება, რამდენადაც ინგლისურ ენაში არ არის სრულად წარმოდგენილი ყველა პირისა და რიცხვის კატეგორიები. აქედან გამომდინარე, იგივე შინაარსის წინადადებას ინგლისურში შემდეგი ფორმა ექნება e.g. ***You will be sorry for this!***

ქართულში მუქარის შემცველი ფრაზების უმრავლესობა წარმოებულია მოქმედებით გვარში, მაგ.: გაგანადგურებ! ხოლო ინგლისური ენა მეტწილად ვნებით გვარს იყენებს, - e.g. ***You'll be destroyed!***

III თავი. მუქარის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და ვერბალური გაფორმება ინგლისურ და ქართულ ენებში

ნაშრომის მესამე თავში, ჩვენს მიერ შეკრებილი მაგალითების საფუძველზე, წარმოდგენილია მუქარის ენის შემცველი განცხადებების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია მუქარის ფორმისა/ტიპისა და დონის მიხედვით ქართულ და ინგლისურ ენებში. ასევე ამ თავში განვიხილავთ მუქარის ვერბალურ გაფორმებას ორივე საკვლევ ენაში.

მაგალითებზე დაკვირვებისას ერთი საინტერესო ფაქტი გამოიკვეთა; აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი პირობითი მუქარა, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებში პირდაპირი მუქარისათვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს (მოქმედების ზუსტი დრო და/ან ადგილი, მსხვერპლის ფიქსაცია, მოქმედება რის გამოც ისჯება მსხვერპლი და ა.შ.). აქედან გამომდინარე, გეილსის კლასიფიკაციაში მოცემული **პირობითი** მუქარის პუნქტი, ჩვენს შემთხვევაში ჩანაცვლებულია **პირდაპირ-პირობითი** მუქარის პუნქტით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა პირდაპირი მუქარა არ არის აუცილებლად პირობითი, მაშინ როცა ყველა პირობითი მუქარა, ჩვენს მიერ მოძიებული მაგალითების მიხედვით, - პირდაპირია.

კვლევამ აჩვენა, რომ ქართველი პოლიტიკოსების მუქარაში ყველაზე მაღალი დოზით გვხვდება პირდაპირი მუქარა -71.5%, მას მოსდევს პირდაპირ-პირობითი მუქარა 15%, რომელსაც მხოლოდ 1.25%-თ ჩამორჩება ირიბი მუქარა და წარმოდგენილია 13.75%-თ. განსხვავებული სურათი გვაქვს ინგლისური ენის შემთხვევაში, სადაც პოლიტიკოსების მუქარის წარმოდგენილი განცხადებების თითქმის ნახევარი (46.25%) მოდის პირდაპირ-პირობით მუქარაზე, მეორე ადგილს იკავებს პირდაპირი მუქარა 32.5%-თ და მესამე ადგილზე აქაც ირიბი მუქარაა 21.25%-ანი მაჩვენებლით.

პირდაპირი მუქარა ორივე საკვლევ ენაში ხორციელდება ბრძანებითი წინადადებებით.

პირდაპირ მუქარაში ორივე ენისათვის დამახასიათებელია პერფორმატიული ზმნების გამოყენება; მაგალითად: „გეუბნევით, გაფრთხილებთ...“; “promise, tell...”. კონსტრუქცია - პირველი პირის ნაცვალსახელი + პერფორმატიული ზმნა - ექსპლიციტურ პერფორმატიულ გამონათქვამს გვაძლევს (Austin, 1962 :6), სადაც პერფორმატიული ზმნა ხაზს უსვამს მთქმელის განზრახვის სერიოზულობასა და ამავედროულად, არწმუნებს მუქარის ადრესატს გამონათქვამის შესრულების მაღალი ალბათობის არსებობაში.

მაგ. Far-right Britain First leader threatens politicians & journalists with ‘day of

reckoning’: **“I can promise you, from the very depths of my being, you will all meet your miserable ends at the hands of the British First movement. Every last one of you.”**

მაგ. რეზო ამამუკელის მუქარა თენგიზ გოგოტიშვილს: **„მე ვაფრთხილებ მაგ ნატოს ოფისის „დვარნიაშკას“ ცოტა ჭკვიანად იყოს, თორემ მე ხელს რომ არ გავისვრი ცხადია! მაგას თავის დროზე მოუწევს პასუხისგება.“**

პირდაპირი მუქარის გადმოსაცემად ინგლისურ ენაში, უმეტეს წილად, გამოიყენება მომავალი დრო (Future Simple) და გრამატიკული კონსტრუქცია “to be going to” (=„ვაპირებ“).

მაგ. *Trump speaks out after bomb threat saying:*” **We will spare no resources or expense in this effort.**”

მაგ. *President Donald Trump:* “When they don’t allow free speech, **we’re going to do a very big number**“

ქართულ ენაში პირდაპირი მუქარა, ძირითადად, გამოხატულია პირველი სერიის მყოფადის მწკრივის ზმნებით, რაც მნიშვნელობით უტოლდება ინგლისურ მარტივ მომავალ დროს.

მაგ. *ნუგ ზარ წიკლაური:* **“ელოდეთ, რომ ოქტომბერში ქართველი ხალხი განაჩენს გამოგიტანთ.“**

პირდაპირი მუქარის მაგალითების განხილვამ ცხადყო, რომ პოზიციის დროის, ზმნისა და სინტაქსური წყობის გრამატიკული მარკერები ორივე საკვლევ ენაში, სხვადასხვა დოზით, მაგრამ ერთნაირი ფორმებით არის წარმოდგენილი.

ირიბი მუქარის შემცველ განცხადებებში ინგლისურ ენაში გამოიკვეთა გამოხატვის ორი განსხვავებული ფორმა:

1. პირველ ფორმას შეიძლება ვუწოდოთ ე.წ. „განაწყენებული ავტორის პოზიცია“, - სადაც მუქარის ავტორი გამოტყვამს უკამყოფილებას არსებული მდგომარეობის გამო და აკეთებს განაცხადს სამომავლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მაგ. *“I am not afraid of an arrest but **I won’t go down alone, it’s time some politicians are exposed. Biting the same hands that fed them.**” Nana Appiah Mensah tweeted*

სწორედ ამიტომ, აღნიშნული ტიპის განცხადებებისათვის დამახასიათებელია პირველი პირის ნაცვალსახელების გამოყენება, რადგან სიტუაცია წარმოდგენილია სუბიექტის პოზიციიდან.

2. მეორე ფორმის ირიბ მუქარაში ნახსენებია მხოლოდ მუქარის ადრესატი და განაცხადი ფორმულირებულია რჩევის სახით, ან წარმოდგენილია სიტუაცია, რაც იწვევს მთქმელის გაღიზიანებას.

მაგ. Sarah Palin: **They'd better be on their toes. Cheaters will not win**

მაგ. D. Trump: **"The EU has taken advantage of the U.S. on trade for many years. It will soon stop!"**

ქართულ ენაში ირიბ მუქარას ახასიათებს ძახილის წინადადებების გამოყენება მეორე და მესამე პირისადმი მიმართვის ფორმით.

მაგ. ზუკა პაპუაშვილი: **„კულტურის სამინისტროს, თეატრის მმართველებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს, დირექტორებს - ყველამ ყველაფერი კარგად ვიცით! გონს მოეგეთ სანამ დრო გაქვთ! გამიფრთხილებიხართ!“**

ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული 11 მწკრივიდან, რომელიც სამ სერიად იყოფა, ირიბი მუქარის გამომხატველი ზმნების დიდი უმრავლესობა I სერიის მწკრივების ფორმით არის წარმოდგენილი. იშვიათ შემთხვევაში გვხვდება III სერიის I თურმეობითის ფორმით გამოხატული მუქარა.

მაგ. ირმა ინაშვილი გუგული მალრაძეს: **„ძალიან ცუდად მთავრდება ხოლმე ასეთი იგნორი.“** (I სერია, აწმყოს მწკრივი)

რეზო ამაშუკელი: **„ყველას ვერ მოკლავენ, ერთხელაც იხუვლებს ეს ხალხი.“** (I სერია, მყოფადის მწკრივი)

ირიბი მუქარა წარმოადგენს მუქარის ერთ-ერთ ურთულეს ტიპს შესაფასებლად და საიდენტიფიკაციოდ, რამდენადაც მსგავსი ტიპის მუქარაში გამოყენებული ენა ბუნდოვანია და მუქარის აღსრულება არ არის დამოკიდებული სხვა პირობის შესრულებაზე. ირიბ მუქარას ხშირად გაფრთხილების ან უკმაყოფილობის ტონი აქვს, საფრთხის ელემენტი კი ძირითადად მიმღებისთვისაა დატოვებული შესაფასებლად (Napier et al., 2003 :18).

პირობითი, ჩვენს შემთხვევაში კი, - პირდაპირ-პირობითი მუქარა, ისეთ სამეტყველო აქტს მიეკუთვნება, რომელიც სხვა ადამიანების ქცევის განკარგვის საშუალებად შეიძლება იქნას გამოყენებული.

როგორც მაგალითების ანალიზმა აჩვენა, ძირითადი განმასხვავებელი ენობრივი მახასიათებელი პირდაპირ-პირობით მუქარაში ორივე ენისათვის ერთი და იგივე გრამატიკული მარკერია. ეს გახლავთ პირობითი წინადადება (Conditional Sentence), რომლის გამოხატვის ფორმაც ქართულ ენაში არის მომავალი დრო, ხოლო ინგლისურ ენაში პირობა წარმოდგენილია აწმყო დროში და პირობის შედეგი მომავალ დროში.

მაგ. ირმა ინაშვილი თინა ხიდაშელს: *“ეს ხელისუფლება თუ არ დაგსჯით, სხვა ხელისუფლება მოვა, ჩვენ მოვალთ და მიგაბრძანებთ ციხეში, როგორც ... უამრავი დანაშაულის ჩამდენს”*

მაგ. Donald Trump: ***"If for any reason Mexico stops apprehending and bringing the illegals back to where they came from, the U.S. will be forced to Tariff at 25% all cars made in Mexico and shipped over the Border to us.***

პირობის გამოხატვა მუქარაში ყოველთვის პირობითი წინადადებით არ ხდება. იშვიათ შემთხვევაში ის შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს დროის დამოკიდებული წინადადებით, ან ძახილის წინადადებით, რომელიც ზოგჯერ, თითქოსდა, გაფრთხილების ტონს ატარებს, თუმცა კონტექსტიდან აშკარაა, რომ მუქარასთან გვაქვს საქმე. ასეთ წინადადებებში ინგლისურ ენაში გამოყენებულია კავშირი “or”, ხოლო ქართულში კავშირი, - „თორემ“.

მაგ. ალეკო ელისაშვილი: *„გააჩერეთ ეს პროცესი! ნუ აჯანჯლარებთ ამ ქვეყანას, თორემ ჯანჯლარს გაჩვენებთ მართლა, არ გამოგვიყვანოთ ასიათასობით ადამიანი!“*

მაგ. Donald Trump: *“Bernie Sanders is lying when he says his disruptors aren't told to go to my events. Be careful Bernie, or my supporters will go to yours!”*

პირდაპირ-პირობითი მუქარა, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშიში ტიპის მუქარად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ის პირდაპირი მუქარისათვის დამახასიათებელ ყველა ელემენტთან ერთად, დამატებით შეიცავს პირობას,

რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც დადგება მუქარის ადრესატისათვის არასასურველი შედეგი და ეს შედეგი კონკრეტულად ფორმირებული და გამოკვეთილია, რაც მუქარის სარწმუნოობას კიდევ უფრო მეტად დამაჯერებელს ხდის.

მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ მუქარა ნამდვილად შეიცავს საფრთხეს, მომდევნო ქმედებას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ როგორ და რა გზით, შეიძლება განხორციელდეს ესა თუ ის მუქარა.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მნიშვნელოვანი მიღწევები შეინიშნება მუქარის შეფასების სფეროში, რის შედეგადაც 1992 წელს ჩამოყალიბდა მუქარის შეფასების პროფესიონალების ასოციაცია Association of Threat Assessment Professionals (ATAP) და მუქარის შეფასების ჟურნალი *Journal of Threat Assessment*, რომელიც პირველად გამოიცა 2001 წელს. მათი შეფასებით, მუქარა, მისი განხორციელების შესაძლო ალბათობის ხარისხიდან გამომდინარე, 3 კატეგორიად იყოფა: მაღალი, საშუალო და დაბალი დონის მუქარა.

როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან მუქარაში, ფიქსირდება სამივე დონის მუქარის გამოყენება, თუმცა, რაც შეეხება პოლიტიკოსების მეტყველებას, მაგალითების ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ პოლიტიკოსები დაბალი დონის მუქარის შემცველი განცხადებების გაკეთებისაგან თავს იკავებენ და ფაქტიურად, ასეთი მუქარა მათი მხრიდან არ ფიქსირდება.

მაღალი დონის მუქარას უცხოელი პოლიტიკოსების მეტყველებაში საერთო რაოდენობის 65% უჭირავს, მაშინ როცა ქართველ პოლიტიკოსებთან მაღალი დონის მუქარა მხოლოდ, დაახლოებით, 27.5%-ით არის წარმოდგენილი, რაც თითქმის 2.5-ჯერ ნაკლებია ინგლისურენოვან მუქარასთან შედარებით.

მაგ. "If a new HealthCare Bill is not approved quickly, BAILOUTS for Insurance Companies and BAILOUTS for Members of Congress will end very soon!" Trump tweeted.

მაგ. ნიკა გვარამია: „საფლავის კარამდე ვდევ ყველა მათგანს, ისევე როგორც მოსამართლე ურთმელიძეს ...და მათი პასუხისმგებლობის ზომას აუცილებლად დავაყენებ! თქვენ დაამთავრებთ თქვენს კარიერას ციხეში!“

ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ქართულ პოლიტიკურ მუქარაში საშუალო დონის მუქარა გამოირჩევა. მისი გამოყენების სიხშირე დაახლოებით 72,5%-ა. რაც შეეხება ინგლისურ ენას, - საშუალო დონის მუქარაზე აქ მხოლოდ 35% მოდის.

მაგ. Al Gore: "Nice global economy you got there. Be a shame if we had to destroy it."

მაგ. გრიშა ონიანი რეზო კახნიაშვილს: „შეიძლება მუქარაში ჩამითვალოთ, მაგრამ გეუბნებით, თქვენ კარგი დღე არ დაგადგებათ.“

პოლიტიკოსების მეტყველებაში გამოყენებული მუქარის ენის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ნაშრომის მიმდინარე ნაწილში რამოდენილი გვაქვს ორი მიმართულებით, - მუქარის გამოთქმის ფორმისა (პირდაპირი, პირდაპირ-პირობითი და ირიბი) და მუქარის რისკშემცველობის დონის (მაღალი, საშუალო და დაბალი) მიხედვით. აღნიშნული კლასიფიკაციის გაკეთების შემდეგ გადავწყვიტეთ კიდევ ერთი, ჯვარედინი კლასიფიკაციის, წარმოდგენა თითოეული ენისათვის.

მუქარის ენის ჯვარედინი კლასიფიკაციის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

ა) ქართულ ენაში:

1. პირდაპირი მუქარის დიდი უმრავლესობა, კერძოდ, - დაახლოებით 77% საშუალო დონეს მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი 23% კი, - მაღალი დონის მუქარა გახლავთ.
2. პირდაპირ-პირობითი მუქარის დაახლოებით 63% მაღალი დონის მუქარაზე მოდის, დარჩენილი 37% კი საშუალო დონის მუქარაზე.
3. ირიბი მუქარის მხოლოდ 9%-ა მაღალი რისკის შემცველი, ხოლო 91% საშუალო დონის მუქარას მიეკუთვნება.

ბ) ინგლისურ ენაში:

1. პირდაპირ მუქარაში პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: მაღალი დონის მუქარა დაახლოებით 58%, ხოლო საშუალო - 42%.

2. ყველაზე მაღალი რისკის შემცველი ინგლისურენოვან მუქარაში პირდაპირ-პირობითი მუქარა აღმოჩნდა 92%-ანი მაჩვენებლით; პირდაპირ-პირობითი მუქარის დარჩენილი 8% საშუალო დონის მუქარას წარმოადგენს.

3. ირიბი მუქარა ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ საშიშ მუქარად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ორივე ენაში მისი შეფასების დონე უმეტესად საშუალოა და მხოლოდ მცირე ნაწილი მიეკუთვნება მაღალი დონის მუქარას. ინგლისურ ენაში აღნიშნული ფარდობითობა ასე გამოიყურება: დაახლოებით 83% - საშუალო და 17% - მაღალი.

მუქარის შემცველ გამონათქვამებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭარბად არის წარმოდგენილი სხეულის ნაწილების გამოყენება, ე.წ. სომატური იდიომები. მიუხედავად ქართულ და ინგლისურ ენებს შორის არსებული განსხვავებული ლინგვოკულტურული და ეთნოსოციოკულტურული თავისებურებებისა, სომატური იდიომების არსებობა მუქარის შემცველ განაცხადებში ორივე ენაში ფიქსირდება. თუმცა, მსგავსი განაცხადებები ქართველი პოლიტიკოსების მეტყველებაში გაცილებით მეტია, ვიდრე უცხოელ პოლიტიკოსებთან (იხ. ცხრილი №5).

ცხრილი №5 სომატური იდიომები პოლიტიკოსების მეტყველებაში

ქართული მაგალითები	ინგლისური მაგალითები
<ul style="list-style-type: none"> • ყელიდან ამოგანთხევინებთ • ეგ ღიმილი შეგაყინებათ სახეზე • მაგ ღიმილს შეგაყინავ სახეზე • მაგ რქებს მოგამტვრევ / ეგ რქები მოგტყდება • მოგახევ მაგ თავს • შუბლს გაგიხვრიტავ • თქვენს სისხლს დავლევ • დაგიხვრიტავთ ფეხებს • დაგათლით მაგ გასიებულ თემოებს • დაგინგრევთ მაგ თავ-ყბას 	<ul style="list-style-type: none"> • I'm going to stomp all over your face with golf spikes • snatch a knot in their a**

- | | |
|---------------------------------------|--|
| • უნდა დაგიღწეოთ თავ-ყბა ყველას თქვენ | |
|---------------------------------------|--|

მაგალითების ანალიზისას მკაფიოდ გამოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მუქარის განაცხადის გაკეთების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს ადრესატის არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება, მისი გამოხატვის ხერხები და საშუალებები ისევე როგორც ფორმა და სტილი მრავალფეროვანი და ზოგ შემთხვევაში ბოლომდე ამოუხსნელია. სწორედ ამიტომ მუქარის საკითხის კვლევას ბევრ სამეცნიერო სფეროში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც თანამედროვე რეალობაში ისე სამომავლო პერსპექტივაში.

ზოგადი დასკვნები

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

თანამედროვე რეალობაში, როდესაც აგრესიის გამოვლინების უკიდურესი ფორმის, მუქარის ენის გამოყენება უჩვეულოდ მაღალი სიხშირით ხასიათდება, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მუქარის ფენომენის შესწავლის მზარდი ინტერესი გამოიკვეთა.

მუქარა ლინგვისტურად წარმოადგენს სოციალურად აგებულ, ლინგვისტური ძალის მქონე აქტს ორ მხარეს – დამმუქრებელსა და დამუქრებულს შორის და მოსალოდნელ ფატალურ განადგურებას მოასწავებს.

მუქარა წარმოადგენს სოციალურ და არა ინდივიდუალურ ფენომენს, რომელიც რეალიზდება ყოველდღიურ კომუნიკაციაში. მუქარის აქტის განხორციელება შესაძლებელია კომუნიკაციის ყველა ეტაპზე, გარდა ინტრაპერსონალური კომუნიკაციისა. თუმცა ყველაზე აქტიურ ეტაპს, რომელზეც მუქარის აქტის განხორციელების ყველაზე დიდი ალბათობა არსებობს, წარმოადგენს ინტერპერსონალური, ანუ პიროვნებათშორისი კომუნიკაცია.

მუქარის აქტი შესაძლებელია განხორციელდეს კომუნიკაციის როგორც ვერბალური ისე არავერბალური სახით, როგორც ზეპირსიტყვიერად ისე წერილობითი ფორმით.

მუქარა საუბრის ისეთი აქტია, რომელიც რიგ შემთხვევებში, ძირითადად,

დირექტივების გაცემას გულისხმობს.

სამეტყველო აქტების თეორიის სერლისეული კლასიფიკაციის მიხედვით, მუქარა კლასიფიცირდება როგორც კომისიების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი; თუმცა, როგორც მაგალითების ანალიზმა გვიჩვენა, მუქარა შესაძლოა მიეკუთვნებოდეს სამეტყველო აქტების არა ერთ, არამედ ორ ჯგუფს, - დირექტივებსა და კომისიებს. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ მუქარა, ერთის მხრივ როგორც დირექტივების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი, აიძულებს მსმენელს განახორციელოს რაიმე ქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში, მუქარა, როგორც კომისიების ჯგუფში შემავალი სამეტყველო აქტი, გამოხატავს მთქმელის ვალდებულებას იმოქმედოს საკუთარი გამონათქვამის შესაბამისად.

მუქარა, როგორც ძალადობრივი ქმედების ერთ-ერთი სახე, ნებისმიერი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, მუქარის, როგორც სოციალური ფენომენის ახსნა და გაგება შეუძლებელია სოციალური კონტექსტისა და იმ სოციოლინგვისტური ცვლადების (სოციალური კლასი, გენდერი, ასაკი, სქესი, ეთნიკური ჯგუფი) გათვალისწინების გარეშე, რომლებიც უშუალოდ ჩართული არიან მუქარის პროცესში. აღნიშნული ცვლადები ერთგვარ დამატებით, შემავსებელ ინფორმაციას გვაწვდიან და მათი არსებობა შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ პროცესის სრულყოფილად გააზრება. ჩვენს მიერ გასაანალიზებლად აღებული მუქარის მაგალითებში ყურადღება გამახვილებული გვაქვს სტატუსის სოციოლინგვისტურ ცვლადზე და განვიხილავთ ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მუქარის ენის თავისებურებებს.

მუქარის გამოხატვა შესაძლებელია როგორც პირდაპირი სამეტყველო აქტებით, - ექსპლიციტურად, ისე ფარული, ირიბი სამეტყველო აქტებით, - იმპლიციტურად. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ექსპლიციტურობა, იმპლიციტურობასთან შედარებით ამცირებს კომუნიკაციის პროცესის მონაწილეთა შორის გაუგებრობას. მიუხედავად გამოხატვის ფორმისა, მუქარა უნდა იყოს იდენტიფიცირებადი მუქარის ობიექტის მხრიდან,

წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კლასიფიცირდება, როგორც წარუმატებელი სამეტყველო აქტი.

ჩვენ მიერ განხილული მაგალითების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც ქართველი ისე უცხოელი პოლიტიკოსების მიერ განხორციელებული მუქარის შემცველ განცხადებებში ირიბი სამეტყველო აქტი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი.

პოლიტიკოსების მუქარის ენის მაგალითების შესწავლამ ცხადყო, რომ ორივე საკვლევ ენაში, მუქარა ხორციელდება პირდაპირი მოთხოვნის სტრატეგიის გამოყენებით და იგი, შესაძლოა, სხვადასხვა დონის საფრთხის შემცველი იყოს მუქარის ადრესატის უარყოფითი სახისათვის, რადგან გულისხმობს მისთვის ე.წ. „ჰარმონიული“ მდგომარეობის ხელყოფას.

მუქარის ფენომენის განხილვასთან მჭიდრო კავშირშია პოზიციის ცნება, რაც გულისხმობს მოსაუბრის გრძნობების, შეფასებებისა თუ დამოკიდებულებების გამოხატვას ლექსიკურ-გრამატიკული და პარალინგვისტური ხერხების გამოყენებით. ნაშრომში გაანალიზებული მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკოსების მუქარას საკმაოდ ხშირად ახასიათებს პოზიციის ამსახველი ისეთი პარალინგვისტური მახასიათებლები, როგორცაა, - ხმის ტონი, სიმაღლე და ხანგრძლივობა, სახის მიმიკები, ჟესტიკულაციები და სხეულის ენის სხვა გამოხატულებები. ბეჭდურ წყაროებში ვხვდებით ასევე შრიფტის გამუქებას, კურსივირებას და ინგლისური ენის შემთხვევაში მთავრული ანბანის გამოყენებას.

მუქარის ენაში პოზიციის გამომხატველი ლექსიკა სამი ძირითადი ჯგუფით არის წარმოდგენილი: ლექსიკა, რომელიც ასახელებს, აღწერს და გამოხატავს. ორივე საანალიზო ენაში მუქარის ენისათვის დამახასიათებელია შემდეგი ლინგვისტური თავისებურებები: შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ენა (რასისტული, სქეობრივი), არანორმატიული ლექსიკა, დაშავების ან დაზიანების სურვილის ამსახველი ლექსიკა.

წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც ქართული ისე ინგლისურენოვანი მუქარა ხასიათდება

ფრაზეოლოგიზმების უხვი გამოყენებით. ასეთ გამონათქვამებში ორივე ენაში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია სომატური იდიომები. აგრეთვე გვხვდება კოლოკვიალიზმები და იდიომები. ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ კოლოკვიალიზმებს ახასიათებს არანორმატიული ლექსიკის გაცილებით ხშირი გამოყენება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ძირითადად, ფერები, რომლებიც მუქარის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში ფიგურირებს, ორივე ენაში ერთი და იგივეა, - შავი და ლურჯი.

პოზიციის გრამატიკული მარკერები გარკვეული ენობრივი ფუნქციის მატარებლები არიან და მათი ქართულ და ინგლისურ ენებში გამოყენების მხრივ გვხვდება როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. როგორც ქართულ ისე ინგლისურენოვან მუქარაში გამოიკვეთა შემდეგი საერთო გრამატიკული მარკერები: პირობითი წინადადებები, მოდალობა, მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენება სასურველი ობიექტის ფიქსაციის მიზნით, ზმნიხედები განზრახვის სერიოზულობის მაჩვენებლად, უარყოფითი კონსტრუქციები, რიტორიკული კითხვები, ბრძანებითი წინადადებები, მომავალი დრო. რაც შეეხება განსხვავებას, აქ შეიძლება აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქართულში მუქარის შემცველი ფრაზების უმრავლესობა წარმოებულია მოქმედებით გვარში, ხოლო ინგლისური ენა მეტწილად ვნებით გვარს იყენებს.

მოძიებული მაგალითების ანალიზი ნაშრომში ორი ძირითადი მიმართულებით განხორციელდა, - მუქარის ტიპებისა და მუქარის დონების მიხედვით.

ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსების მუქარის შემცველი განცხადებების მაგალითების ტიპოლოგიურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ქართველი პოლიტიკოსები ყველაზე ხშირად მიმართავენ პირდაპირ მუქარას (71.5%); სიხშირით მეორე ადგილზეა პირდაპირ-პირობითი მუქარა (15%) და ყველაზე ნაკლებად მათ მეტყველებაში ვხვდებით ირიბ მუქარას (1.25%). განსხვავებული სურათი გვაქვს ინგლისური ენის შემთხვევაში, სადაც პოლიტიკოსების მუქარის წარმოდგენილი განცხადებების თითქმის ნახევარი (46,25%) პირდაპირ-პირობითი ხასიათის მატარებელია, მას მოსდევს პირდაპირი

მუქარა (32.5%) და მესამე ადგილი აქაც ირიბ მუქარას უჭირავს (21.25%).

საფრთხის შემცველობის ხარისხის მიხედვით პოლიტიკოსთა მხრიდან კეთდება მაღალი და საშუალო დონის მუქარები. აქედან ქართველი პოლიტიკოსები მაღალი დონის მუქარას გაცილებით ნაკლები სიხშირით იყენებენ (27.5%), ვიდრე საშუალო დონის მუქარას (72.5%). საპირისპირო სურათი გვაქვს ინგლისურენოვანი მუქარის შემთხვევაში; აქ მაღალი დონის მუქარის გამოყენების სიხშირე უფრო მეტია (65%), ვიდრე საშუალო დონის მუქარისა (35%). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც ქართველი და არც უცხოელი პოლიტიკოსების მეტყველებაში დაბალი დონის მუქარა არ ფიქსირდება.

როგორც მაგალითების ანალიზმა ცხადყო, მუქარის გამოხატვის ხერხი, სტილი, ფორმა და საშუალება შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ მიზანი, - ადრესატის დაშინება და არასახარბიელო მდგობარეობაში ჩაყენება, - უცვლელია.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „მუქარის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მისი გამოხატვის ექსპლიციტური და იმპლიციტური ფორმები; პოზიციის ენობრივი მარკერები“. *Journal of Narrative and Language Studies*, 2019, 7(13), pp. 200-220, ISSN: 2148-4066.

2. „დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიებისა და სახის შელახვისა და შენარჩუნების აქტების შესწავლის მნიშვნელობა მუქარის ფენომენთან მიმართებაში“. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, 2019, №21, გვ. 72-80, ISSN: 1987-7323.

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/302602/1/Ena_Da_Kultura_2019_N21.pdf

3. „კომუნიკაციის ფენომენი - გლობალიზაციის ეპოქის უდიდესი გამოწვევა“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა და ახალგაზრდა

მეცნიერთა III სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2018, გვ. 127-130, ISBN 978-9941-462-79-5.

4. „მუქარის ფენომენის სოციოლინგვისტური მახასიათებლები“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება“, 2017, გვ. 762-766, ISBN 978-9941-459-65-8